

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის  
შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - დარეჯან დადიანი

თანამდებობის დასახელება- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე  
კომისიის (კომისიების) დასახელება-

ფრაქციის დასახელება \_ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.  
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- წალენჯიხის N68 საარჩევნო ოლქი,  
პროპორციული.

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის 01 ნოემბრიდან 2020 წლის 01 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი.

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 21

საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 20

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა -

კომისიის სხდომებზე დასწრება -

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 10

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 10

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ;

- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.;

- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე“

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით - (იჯარით) გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის

შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე;

- „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიპალიტეტის საკუთრებაში არსებული არა სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- სხვა მიმდინარე საკითხები.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: -

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 35 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 960

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა; ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის უზრუნველყოფა; თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა; წყალმომარეგებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება. შიდა გზების რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურა, ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრების კეთილმოწყობა, ადმინისტრაციული ერთეულების გაზიფიცირება და ინტერნეტიზაცია, მეტი სამუშაო ადგილის შექმნა, ახალგაზრდების გადინების შემცირება.

## II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

საკრებულოში გაერთიანებული ვარ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციაში და მონაწილეობა მაქვს მიღებული ფრაქციის მიერ გამართულ 10-ივე სხდომაში. ფრაქციის სხდომებზე ვაფიქსირებ ჩემს პოზიციებს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებთან, ამომრჩევლებთან შეხვედრებზე მოსახლეობის მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

შევსების თარიღი-16.11.2020 წ.

წარდგენის თარიღი \_16.11.2020 წ.

ხელმოწერა -

